ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲝᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲫᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ — 1978

□ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1978 Წ. □ № 132 (17176) □ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲞᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲔᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲦᲝᲜᲔᲡ ᲘᲦᲛᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲜᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲠᲘᲗᲛᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲣᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ ᲐᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲓᲐᲐᲛᲖᲐᲓᲝᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ, ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲝᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲘᲦᲕᲘᲡ 1978 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝᲜ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ 1978-79 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠᲙ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲐᲚᲝᲒᲐᲐ!

ᲒᲐᲣᲬᲧᲚᲘ დადგა, მაგრამ საქართველოს მთა-ბარში კვლავ ხშირად წვიმს. ავდარი დიდ სიძნელეებს უქმნის სოფლის მშრომელებს, განსაკუთრებით მემინდვრეებს. მიწის სითბოს და მზეგნელ-მთესველის გარჯას კი მაინც თავისი გაჰქვს — ალაზნისა და ივრის ველებზე, შირაქსა და ტარიბანაში შემოდგომაზე ნათესმა ქერისა და პურის ყანებმა ფერი იცვალა, დაპურდა. ყვითელი ფერის კვადრატები გახშირდა ალაზნის ველზე. ეს ქერის ყანებია, რომელიც სულ მალე მომკელს მოუხმობს.

მოსავლის აღება! მრავალმნიშვნელოვანია ეს სიტყვები, მაგრამ ჩვენში მაინც პურეულის მკა — ალოობა იგულისხმება. ალოობა საქართველოში ოდითგანვე მეტად პასუხსაგებ პერიოდად ითვლებოდა და ითვლება. მკის პერიოდში ჯამდები მზეგნელ-მთესველის გარჯისა და საქმიანობის შედეგი. მეათე ხუთწლედის მესამე წლის უხვ ალოობას ჩვენმა მემინდვრეებმა შარშან შემოდგომაზე ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი.

მემინდვრეებმა წლეულს იანვარში საქართველოს სოფლის მშრომელებთან ერთად რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მოიწიონ დაახლოებით 24 ცენტნერი და სახელმწიფოს მიჰყიდონ 160.000 ტონა მარცვალი. ამ საპატიო დავალების შესასრულებლად რესპუბლიკის მემინდვრეებმა დიდი შრომა გასწიეს. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა და ნათესების დამუშავება ადგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულდა.

მაგრამ ავდარმა ყანის დამწიფება დაადგვიანა, ზოგან კი სეტყვამ და სხვა სტიქიურმა მოვლენებმა ნათესები ერთობ დააზიანა. დაგვიანებული გაზაფხულის გამო დაკარგული დროის ანაზღაურებისა და საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპის დაჩქარების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის სოფლისა და ქალაქის მშრომელებს, ახალგაზრდებს წერილით მიმართა და მოუწოდა, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპის დაჩქარებაში, პირუტყვის საკვების დაგროვებაში.

ამ დღეებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება: „1978 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების და 1978-79 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“. ამ დიდმნიშვნელოვან დადგენილებაში ბანსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს მკას მიმზადებული შევხვდეთ, შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დავამთავროთ ალოობა და გადამეტებით შევასრულოთ მარცვლეულის, აგრეთვე სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებები, უზრუნველყოთ მათი გადატანა და შენახვა. მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ მაღალი ხარისხის უხეში და წვნიანი საკვების დამზადება საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის.

მოსავლის აღების პერიოდში წარმატებას ძირითადად ტექნიკა წყვეტს. ვისაც გამართული აქვს კომბაინები და მარცვალსაწმენდი მანქანები, ავტომანქანები, ვისაც მომარაგებული აქვს საწვავ-საპოხი მასალები, სათადარიგო ნაწილები, ვისაც მომზადებული აქვს კალოები და საველე საწყობები, ვინც დროულად დააკომპლექტა მომკელთა და მარცვლის გადამტანი კომპლექსური ბრიგადები და რგოლები, წარმატება გარანტირებული ექნება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მექანიზატორებისადმი წერილში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმას, რომ „სოფლის მეურნეობაში კარგი მოსავლის მოწევისა და მისი წარმატებით აღების მთავარი საწინდარია იცოდე სამუშაო დროის ყადრი. საუკეთესო ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, მაღალხარისხოვნად დავამთავროთ ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო — ასეთია უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანა, რომელიც დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მოითხოვს“.

ხელმძღვანელობს რა ამ რჩევით, სიღნაღის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ წლევანდელი მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღების უზრუნველყოფის მთელი რიგი ეფექტიანი ღონისძიებანი დასახა. ამას წინათ რაიონის მოწინავე მექანიზატორთა შეერებაზე მიიღეს მოწოდება რესპუბლიკის მექანიზატორებისადმი — „ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲘᲐᲢᲐᲙᲝᲕᲝᲔᲚ ᲛᲘᲦᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲝᲗᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ!“. მათ ვალდებულება იკისრეს ფართოდ გაავრცელონ და დანერგონ სტაგროპოლის მხარის იპატოვოს რაიონის მიწათმოქმედთა გამოცდილება — გამოიყენონ მოსავლის აღების ნაკადური ტექნოლოგია.

სიღნაღელთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს წითელწყაროელმა, საგარეჯოელმა, გარდაბნელმა მექანიზატორებმა. იპატოვოელთა მეთოდს იწონებენ რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის მიწათმოქმედნი, მათი მაგალითისამებრ შეიქმნა 40 მექანიზებული კომპლექსი და 150-მდე რგოლი.

ალოობაზე სოციალისტური შეჯიბრების, ამ ნაკადი მეთოდის მაღალ დონეზე მოწყობა წარმატების ერთ-ერთი მტკიცე საფუძველია, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში. შარშან თავთავიანი მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის კომბაინერთა რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულ კომბაინერებსა და მათ თანამშრომლებს ჯილდოდ მიეცათ 11 ტელევიზორი, 3 მაგნეტოფონი, 11 მაჯის საათი და 3 ტურისტული საგზური. შარშან გამარჯვება მოიპოვეს კომბაინერებმა ამირან უანდაშვილმა, ნიკოლოზ ჭავახიშვილმა, დავით ყიფშიძემ, ამირან იაკობაშვილმა, გიორგი ნასრაშვილმა, ალექსი ყორჩაშვილმა, ზურაბ ზურაშვილმა, გივი აკოფაშვილმა, ომარ ტალახაძემ, ნოშრევან და გერასიმ ბეგიაშვილებმა.

მემინდვრეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა წლეულს უფრო მაღალ დონეზე უნდა მოაწყონ მემინდვრე მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება, რომ უდანაკარგოდ ავიღოთ ამ მოსავალი, დროულად დავამბინაოთ სახელმწიფო ბეღელში პური ჩვენი არსობისა. ამისათვის საჭიროა შეუფერებლად ვამუშაოთ ყოველი კომბაინი, ავტომანქანა, მარცვალსაწმენდი ტექნიკა. ყოველი კომბაინის დატვირთვა 110-125 ჰექტარზე ნაკლები არ უნდა იყოს. ალოობა შეიძლება 10-12 სამუშაო დღეში დამთავრდეს. ამისათვის საჭიროა რაიონების შიგნით, თავთავიანების სამკელად შემოსავლის კვალობაზე კომბაინების მანევრირების ორგანიზაცია, კომბაინების ჯგუფურ-რგოლურად მუშაობა იპატოვოელ მექანიზატორთა მეთოდით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით წლევანდელი ალოობისათვის დაწესებულია მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებები, მექანიზატორთა და მძღოლთა შრომის ანაზღაურების ახალი ტარიფები. წამახალისებელი ღონისძიებები დაწესებულია აგრეთვე პირუტყვის საკვების დამზადებაზე მომუშავეთათვის. წლევანდელი ამინდი საშუალებას გვაძლევს ნაწვერალზე უხვად ვაწარმოოთ პირუტყვის საკვები. ამისათვის საჭიროა მკისთანავე გავწმინდოთ ნაკვეთებით, ნამჯა ფერმებთან დავზვინოთ, ნიადაგში შევიტანოთ სასუქები, მოვახნათ და იქ სანაწვერალო კულტურები დავთესოთ.

კარგად არის ნათქვამი, მოსავლის აღებას დაცდა არ უყვარს, დროზე აიღე მოსავალს, მოიგე, დაადგვიანე — წააგებო. ამისათვის საჭიროა ალოობაში მონაწილეობა მიიღოს სოფლისა და ქალაქის ყველა მშრომელმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ, ინტელიგენციამ. უფრო მაღალ დონეზე უნდა მოეწყოს ქალაქის შეფობა სოფელზე.

მთელი ძალები მოსავლის აღებაზე, პირუტყვის საკვების დაგროვებაზე! — ასეთია სოფლისა და ქალაქის მშრომელთა საღღეისო საპატიო ამოცანა.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მთავრობის მოწვევით თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბულენთ ეჯევითი საბჭოთა კავშირს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა 1978 წლის ივნისის მეორე ნახევარში.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (სკკ. კორ.). ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წლის დავალებათა შესრულებისათვის და ახალ წარმატებას მიაღწიეს. მათ 29 მაისს სამშობლოს უსტატკეს ხუთი თვის დავალების შესრულება, ხოლო თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში პროდუქციას ჯეამის გადამეტებით აწარმოებდნენ.

შრომითს პაექრობაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ს. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო და ლითონფონის ქარხნები, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, სახლთსაშენებელი კომბინატი და სხვა საწარმოები.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲔᲤᲔᲑᲘᲗ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრა განვლილი ხუთი თვე თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა. იანვარ-მაისში გეგმით გათვალისწინებული 17 მილიონ 923 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციის ნაცვლად დამზადებულია 18 მილიონ 176 ათასი მანეთის ნაწარმი, აქედან 466 ათასი მანეთისა ხარისხისნიშნიანია. რეალიზებულია 18 მილიონ 140 ათასი მანეთისა. მომხმარებელმა მიიღო 6 მილიონ 677 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, სახელმწიფო დავალებით კი 6 მილიონ 606 ათასი მეტრი იყო გათვალისწინებული.

გაერთიანების კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ შეანელოს აღებული ტემპი და კვლავაც ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნოს ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წელი.

მ. ᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ.

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲕᲘᲣᲠᲝᲛᲝᲗ ᲘᲐᲢᲐᲙᲝᲕᲝᲔᲚ ᲛᲘᲦᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ!

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲛᲘᲦᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲔᲚ მექანიზატორთა პატრიოტული თაოსნობა—პურეულის მოსავლის კომპლექსური წესით, სწრაფად და უდანაკარგოდ აღება — დროული და მისასალმებელია. ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ მოწოდებას, ყველაფერს ვიღონებთ რათა მტკიცედ დავნერგოთ ჩვენს მუშაობაში სტავროპოლის მხარის იპატოვოს რაიონის მექანიზატორთა გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და ორგანიზებულად აღებას, ამასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს აგროვადებში შესრულებას. გასულ წელს ამ მეთოდით იმუშავეს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა და სასურველი შედეგებიც მიიღეს.

ვალდებულებას ვკისრულობთ მეათე ხუთწლედის დამკვრელურ წელს მოვიწიოთ 72 ათასი ტონა თავთავიანი კულტურების მოსავალი, სახელმწიფოს მივყიდოთ 29.530 ტონა მარცვლეული; საშუალოდ ჰექტარზე გავლეწავთ ოცდაათ ცენტნერს — გეგმაზე 3 ცენტნერით მეტს. გავაწყობთ და მოსავლის აღებაზე შეუფერხებლივ ვამუშავებთ 148 კომბაინს აგრეგატს.

სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მელიქიშვილი ხელმძღვანელობს, თორმეტ სამუშაო დღეში აიღებს პურეულის მოსავალს და ჰექტარზე საშუალოდ გალეწავს 37 ცენტნერ მარცვალს.

შირაქის, ალაზნის, ზილიხისა და ტარიბნის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიხედვით ყანების დამწიფების კვალობაზე მოვახდენთ სამკალი ტექნიკის მანევრირებას, კონცენტრაციას, ამასთან ერთად უკეთ მოვაწყობთ მექანიზატორთა მომსახურებას.

იპატოვოელთა მაგალითისამებრ რაიონში შექმნილი გვაქვს 10 მოსავლის ასაღები-სატრანსპორტო კომპლექსი, რომელშიც შედის 20 რგოლი. ყოველ რგოლში გაერთიანებულია 5-6 კომბაინი, 8-10 ავტომანქანა და სხვა საჭირო ტექნიკა. მოსავლის ამღები კომპლექსებისა და რგოლების მუშაობას სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი პარტიული და სამეურნეო მუშაკებმ, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, სადაც კი შესაძლებელია, მოვაწყობთ ორცალიან მუშაობას; ცვლებს სადღეღამისო მომსახურებას გაუწევს „სიქსოფლტექნიკის“ სახელოსნო და მოძრავი სარემონტო ბრიგადები. შეექმენით სათადარიგო ნაწილებისა და კვანძების მარაგი.

თითოეული კომბაინის აგრეგატის საღღეღამისო დატვირთვას ავიყვანთ 14-15 ჰექტარამდე. მოსავლის ამღები მანქანების საწვავით გაწყობასა და ტექმომსახურებას მოვახდენთ კვალში, მაქსიმუმამდე აღვაყვანავთ მოცდენებს, დავზოგავთ საწვავ-სპეპოს მასალებს.

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲢᲝᲜᲔᲑᲘ

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ დამკვრელურ წელს მეტად რთული, მაგრამ საპატიო ამოცანის წინაშე დგანან მახარაძის რაიონის მეჩაიეები. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სამშობლოს 75 ათასი ტონა ჩაის მაღალხარისხოვანი ნედლეული მისცენ.

დიდი ჩაისათვის ბრძოლაში, რასაც რაიონის მშრომელები აქედანვე მტკიცე საფუძველს უყრიან, გარკვეულ წვლილს შეიტანს ახალგაზრდა ნაგომრელი მექანიზატორი ცისანა თალაკვაძე. ქალიშვილს გადაწყვეტილი აქვს წელს, შარშანდელთან შედარებით ხუთი ტონით მეტი მოკრიფოს და სახელმწიფოს 45 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩააბარონ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: მექანიზატორი ცისანა თალაკვაძე.

Შ. ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲐᲡ ფოტო.

ᲓᲠᲝᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲪᲔᲗ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲝᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ მეათე ხუთწლედის მესამე წლის პირველი ნახევარწლეულის ასამოქმედებელი ობიექტების დროული გადაცემის საკითხი. თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, საბჭოთა ორგანოების, სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, ნაგებობათა სამტრედიაა და ტყვარჩელში, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, სახლთსაშენებელი კომბინატი და სხვა საწარმოები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ქედიშვილმა.

ინფორმაცია გაწეული მუშაობისა და მომავლის ამოცანების შესახებ გააკეთეს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ნ. მეძმარიაშვილმა, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ი. ხარატიშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თ. ჩიკვაიძემ, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მმართველმა გ. გაბისონიამ, „კურორტმშენის“ მმართველმა რ. ხარჩილავამ, „ინგმშენის“ მმართველმა ი. კირკიტაძემ და სხვებმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ პირველ ნახევარწლეულში უნდა ამოქმედდეს სკოლები, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები რამდენიმე ათასი ადგილით, საწმენდი ნაგებობანი სამტრედიაში და ტყვარჩელში, ღონისძიების მაღარო, სახლთსაშენებელი კომბინატი სოხუმში, თბილისის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ბაგებში, კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საყარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავი, წალენჯიხის, ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკები, აბაშის სტამბა, კუმისის მეცხოველეობის კომპლექსი, სხვა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

საქმის მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც პარტიის რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები და საბჭოთა ორგანოები სამეურნეო ორგანოებთან ერთად სერიოზულად სწვდებიან მშენებლობის საკითხებს, ღრმად ერკვევიან ვითარებაში და ახორციელებენ ღონისძიებებს გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, იჩენენ ინიციატივას, — იქ მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. დაასახელეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, პარტიის ქალაქ თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონული კომიტეტების მუშაობის დადებითი მაგალითები.

ამ საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების საქმიანობის ამოსავალი მომენტი გახდა საამშენებლო და სამონტაჟო ქვეგანაყოფების შრომითი კოლექტივების ფორმირება და შეკავშირება, საქირო პირობების შექმნა ათასობით ადამიანის ნაყოფიერი მუშაობისათვის. პარტიული ორგანიზაციები მთავარ ყურადღებას უთმობენ კომუნისტთა განაწილებას მშენებლობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე, დაკისრებული საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ამასთანავე თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები და სახალხო დეპუტატთა საბჭოები ჯერ კიდევ ყველგან არ უთმობენ სათანადო ყურადღებას მშენებლობათა მუშახელით უზრუნველყოფის საკითხებს. ეს განსაკუთრებით ეხება დმანისის, ახალქალაქის, სამტრედიისა და სხვა რაიონებს.

მშენებლობებს დიდი შეფერხებით მისდით აგური, ცემენტი, ბლოკები, ბიტუმი, ინერტული მასალა. ყოველივე ეს იწვევს მოცდენას, იერიშობანას, და არა მარტო შლის ამა თუ იმ ობიექტის ამოქმედების ვადას, არამედ აუარესებს კიდეც სამუშაოთა ხარისხს.

ბევრი საყვედური გამოითქვა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის მიმართ, რომელიც არ უზრუნველყოფს მშენებლებს საჭირო რაოდენობის რკინიგზის ეაგონებით. რკინიგზელებმა კი, თავის მხრივ სრულიად საფუძვლიანად უსაყვედურეს მშენებლებს დატვირთვა-გაფცვირთვის სამუშაოთა გრაფიკების დარღვევისათვის. მშენებლობებისა და რკინიგზის შეუთანხმებელი მუშაობა უარყოფითს გავლენას ახდენს ორმხრივი გეგმების შესრულებაზე.

აღინიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მშენებლობის ინდუსტრიული ბაზის განვითარებას, ახალი, პროგრესული ფორმების საშენ მასალათა გამოყენებას.

თათბირზე შეიმუშავეს პირველი ნახევარწლეულის ყველა ასამოქმედებელი ობიექტების დროული გადაცემის ხელშემწყობი ღონისძიებები. (საქინფორმი).

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲕᲘᲣᲠᲝᲛᲝᲗ ᲘᲐᲢᲐᲙᲝᲕᲝᲔᲚ ᲛᲘᲦᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ!

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲛᲠᲮᲐᲠᲔ ᲕᲣᲨᲐᲠᲗ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲔᲚ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲔᲚ მექანიზატორთა პატრიოტული თაოსნობა—პურეულის მოსავლის კომპლექსური წესით, სწრაფად და უდანაკარგოდ აღება — დროული და მისასალმებელია. ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ მოწოდებას, ყველაფერს ვიღონებთ რათა მტკიცედ დავნერგოთ ჩვენს მუშაობაში სტავროპოლის მხარის იპატოვოს რაიონის მექანიზატორთა გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და ორგანიზებულად აღებას, ამასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს აგროვადებში შესრულებას. გასულ წელს ამ მეთოდით იმუშავეს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა და სასურველი შედეგებიც მიიღეს.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲗ მეათე ხუთწლედის დამკვრელურ წელს მოვიწიოთ 72 ათასი ტონა თავთავიანი კულტურების მოსავალი, სახელმწიფოს მივყიდოთ 29.530 ტონა მარცვლეული; საშუალოდ ჰექტარზე გავლეწავთ ოცდაათ ცენტნერს — გეგმაზე 3 ცენტნერით მეტს. გავაწყობთ და მოსავლის აღებაზე შეუფერხებლივ ვამუშავებთ 148 კომბაინს აგრეგატს.

სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მელიქიშვილი ხელმძღვანელობს, თორმეტ სამუშაო დღეში აიღებს პურეულის მოსავალს და ჰექტარზე საშუალოდ გალეწავს 37 ცენტნერ მარცვალს.

შირაქის, ალაზნის, ზილიხისა და ᲛᲘᲦᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲘᲞᲐᲢᲝᲕᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲣᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ ᲐᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲓᲐᲐᲛᲖᲐᲓ

პარტიული ცხოვრება

ამ საკითხს ცხოვრება აყენებს

ვეხმაურებით წერილს — „ტერიტორიული ორგანიზაცია და კომუნისტები“

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, „კომუნისტის“ 17 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ქ. წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივნის ნ. კვეტნაძის წერილი სათაურით „ბრძოლისუნარიანობა რომ ამაღლდეს“. მასში წამოყენებულია ზოგიერთი წინადადება ე. წ. ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, გამოთქმულია მოსაზრებანი მათი როლისა და გავლენის გაძლიერების თაობაზე.

განვიხილავთ რა მასალების გამოქვეყნებას რუბრიკით „ტერიტორიული ორგანიზაცია და კომუნისტები“, „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში მკითხველს ვთავაზობთ წერილს ქ. თბილისის გლდანის მეორე მიკრორაიონის საბჭოსთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან.

თბილისის გლდანის მასივის მეორე მიკრორაიონის საბჭო საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს.

მიკრორაიონი... ასე ეძახიან, მაგრამ იგი მთლად „მიკრო“ როდის! ორიოდე წლის წინათ „მეგობრობის კვარტალი“ შემოგვერთდა და ახლა იგი 45.000 კვადრატულ მეტრ ფართობზეა გადაჭიმული. მის 4.099 ოჯახში 16 ათასამდე კაცი ცხოვრობს. ეფიქრობთ, ადგილი წარმოსადგენია, რომ ეს გვარიანი მოზრდილი ქალაქია ყველა ატრიბუტით, თავისი მჩქეფარე ცხოვრებით, სიძნელეებითა და პრობლემებით.

და რაოდენ სასტიკია, ამასთან პასუხსაგებიც, რომ აქ მცხოვრებთ ერთ-ერთ პირველებს ხვდათ წილად განეხორციელებინათ ექსპერიმენტი მიკრორაიონის ცხოვრების სხვადასხვა მხარისადმი ხელმძღვანელობაში, განსაზღვრათ საცხოვრებელ ადგილას მოსახლეობის მოთხოვნილებებთან დაკავშირებული ყველა საკითხის კომპეტენციური მიდგომით გადაწყვეტა.

სამ წელზე მეტი გავიდა და, რასაკვირველია, შეიძლება ლაპარაკი პირველ შედეგებზე.

მარტო ის რად ღირს, რომ მიკრორაიონის ყველა საჯარბოროტო საკითხს, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო და სხვა პრობლემების დასმასა და გადაწყვეტაში უშუალოდ მონაწილეობენ მოსახლეობა და მისი აქტივი. მართლაც, ახლა მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს, დავას თუ სხვადასხვა წინააღდეგობებს ძირითადად საბჭოს კომიტეტი განიხილავს. საყურადღებოა, რომ მიკრორაიონის მცხოვრებთ სხვა ინსტანციაში ხშირად მისვლა და ლოდინი აღარ უხდებათ. აქვეა ყველაფერი, რაც მოსახლეობის მომსახურების სფეროს დაკმაყოფილებს, მათ შორის მართლწესრიგის დაცვის მილიციის საყრდენი პუნქტის საზოგადოებრივი საბჭოც, ჩვენს მობინადრეებს არც სპეციალისტები ჰყავთ საძებარი: საბჭოს შენობაში, თითოეულ კორპუსსა და საადარაზოში გამოკრულია სია და მისამართები იმ პირებისა, რომლებიც მობინადრეებს მოემსახურებიან.

ამ სიახლის ერთ-ერთი დიდი სიკეთე ის გახლავთ, რომ გამომავისუფლდა დრო. ჩვენმა მობინადრეებმა ისწავლეს მისი გონივრულად გამოყენება, ახლა თავისუფალ დროს მეტი საშუალება აქვთ თვალყური ადევნონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, საცხოვრებელი ფონდის მოვლა-გამოყენებას, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ისინი მონაწილეობენ შაბათობებში ტერიტორიის კეთილმოწყობის, გამწვანების, გარეგანათების, სპორტული მოედნების მოწესრიგების მიზნით, კონტროლს უწევენ გათბობასა და ცხელი წყლით მომარაგებას, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებში წესრიგის დამყარებას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას. ერთი სიტყვით, მრავალ კეთილ საქმეს აკეთებენ.

აბა მობრძანდით და ნახეთ ჩვენი „მიკროქალაქი“, მისი გზები და ბილიკები, ეზოები, ბავშვთა სათამაშოო და სპორტული მოედნები და ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, თუ რა შეუძლია საზოგადოებრივ აქტიურობას. სწორედ საზოგადოებრივ საწყისებზე, მოსახლეობის ძალებით გამწვანდა 27-ე, 28-ე, 31-ე და 33-ე კორპუსების მიმდებარე ტერიტორია, ობში დაღუპულთა სახელით პერსონალური წარწერით დაირგო ათასობით ძირი ხე და ბუჩქი, რომლებსაც მობინადრეები უვლიან. მათივე ენერგიული მეცადინეობით დაიდგა ორი საგაზთო ჯიხური — ეს საქმე კომუნისტებმა ა. გორხიანმა და ი. ბაცაშვილმა ითავეს. მოწესრიგდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა, წესრიგი მყარდება სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში... ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი მოქალაქეთა ინიციატივით, მათი უშუალო მონაწილეობით არის გაკეთებული.

მაგრამ ყველაფერი ერთი ხელის დაკვრით როდი მოხდა. როგორც ყველა ახალ წამოწყებას, ცხადია, ამ სიახლესაც ახლდა სიძნელეები, ზოგს არ სწამდა ახალი საქმისა, ამიტომ, საჭირო გახდა მობინადრეთა სათანადო ინფორმირება, ამ სიახლის არსსა და შინაარსში გარკვევა. და აი დღის წესრიგში დადგა მობინადრეთა აღზრდის გაუჭირვებელი, კულტმასობრივი და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების საკითხი. ამისათვის საბჭომ და მასთან არსებულმა პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს. მასაც ხომ ე. წ. ტერიტორიული ორგანიზაციის როლი აკისრია. ღია პარტიულ კრებებზე, საბჭოს სესიებსა და სხდომებზე მშრომელები ეცნობიან ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს, სიახლეებს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, განხილულ იქნა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის გადაწყვეტილებანი. გაძლიერდა საგაზეთო-მასობრივი მუშაობა, ეწყობა ლექციათ-მოხსენებები და სიუბრები ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო სამშვიდობო პოლიტიკის საკითხებზე, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, ხელოვნების მუშაკებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან, ხოლო ჩვენი მეგობრობის საღამოები ამკვიდრებს ეკუმენიკურ ინტერნაციონალურ სულისკვეთებას, რასაც, ცხადია, ხელს უწყობს ცოცხალი მაგალითი — „მეგობრობის კვარტალი“ — მოძმე ხალხების უანგარო საჩუქარი, რომლის კომფორტულ ბინებშიც ხალისიანად ცხოვრობენ. აღზრდის სამსახურშია ჩაყენებული აგრეთვე სხვადასხვა თემატიკი ტენდი, გაზოფენები, დიაგრამები...

როგორც აღვნიშნეთ, მიკრორაიონის მართვა დემოკრატიულ საწყისებზე მოქალაქეთა მზარდ აქტიურობაზეა დაფუძნებული. და აქაც, როგორც საერთოდ, საქმის სული და გული კომუნისტები არიან. მაგალითად, კომუნისტი ინეინრის ს. კუკვაიძის წინადადებით მოწესრიგდა ავტოგაჩერებები, მისივე თაოსნობით მიკრორაიონის შემოსასვლელში დაიდგა სათი, რომელსაც თვითონვე უვლის და მართავს ბინიდან.

მუშაობაში დიდად გვიწყობს ხელს სექციები და მუდმივმოქმედი კომისიები, რომლებსაც უმეტესად კომუნისტები ხელმძღვანელობენ. ეფიქრობთ, საჭიროა ცოტა რამ ითქვას ზოგიერთი სექციის მუშაობაზე. ეს თუნდაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სექციაა, რომელსაც კომუნისტი გ. ხარიეიშვილი ხელმძღვანელობს. იგი მილიციის საყრდენ პუნქტთან უშუალო კავშირით წარმართავს თავის საქმიანობას. მისასალმებელია, რომ სექცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბავშვებთან მუშაობას. როცა აქტივის კრებაზე რუსთაველთა ცნობილი ინიციატივა განვიხილეთ, აქვე სექციამ წამოაყენა თავისი დეკეზი: — „არც ერთი სამართალდამრღვევი არასრულწლოვანი — ჩვენს მიკრორაიონში“ და, მართლაც, მრავალი ეფექტიანი ღონისძიება განახორციელეს არასრულწლოვანთა დანშაულობის და უზედამხედველობის აღსაკვეთად. სწორედ ამ სექციამ ითავა და მილიციის საყრდენ პუნქტთან შექმნა ნორჩ ძერჟინსკელთა კლუბი, მისი წევრები, ცხადია, ბავშვები. სპეციალურ ფორმაში გამოწყობილნი, კვეთხით ხელში მორიგეობით იცავენ მიკრორაიონის მყუდროებას, დისციპლინას, წესრიგისათვის მოუწოდებენ თანატოლებს და თუ საჭირო გახდა... მოზრდილებსაც კი, ამ საქმეში დიდად გვეხმარებიან შეფები — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისს სპეციალური სკოლის კურსანტები, აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებების შედეგად ჩვენთან საგრძნობლად შემცირდა წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

სექცია ამხანაგური სასამართლოს, სახლის კომიტეტის, ქალთა საბჭოს, მილიციის საყრდენი პუნქტის დამპარებით აგვარებს ოჯახურ კონფლიქტებსაც, მეზობლურ დავას, ღონისძიებებს ახორციელებს ქუჩაში ხულიგნური გამოხდომის, აურზაურის, მავნე წეს-ჩვეულებების აღსაკვეთად.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციისა და მიკრორაიონის საბჭოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია მოზარდი თაობის აღზრდის, სწავლა-დასაქმების, დასვენების სწორი ორგანიზაცია. ამისათვის იღვწის განათლებისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის სექცია, რომლის ხელმძღვანელია კომუნისტი ზ. ფერაძე. სპეციალური შტაბი ეცნობა მიკრორაიონში მცხოვრები ყველა მოსწავლის აკადემიურ წარმატებებს. სწავლაში ჩამორჩენილ, განთესილ, ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს მიუჩენენ ხელმე დამრიგებლებს, რომლებიც პასუხს აგებენ თავიანთი აღსაზრდელებისათვის. სექციის წევრების დამსახურებაა, რომ კომპლექსური ღონისძიებების შედეგად გზას აცდენილი მოზარდები, მათ შორის ვ. როგოვეიჩი, მ. სმოილი და სხვები, რომლებიც არ სწავლობდნენ, საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ, გამოსწორდნენ, ახლაც 35 ძნელად აღსაზრდელ ბავშვთან კომუნისტები ნ. ჭოხონელიძე, ქ. გაბელია, ი. ინანაძე, ა. დვალიძე, ვ. ბუაჩიძე და სხვები მუშაობენ. სექციასთან შექმნილია სპორტული და შემოქმედებითი წრეები, რომლებშიც ნიჭისა და ინტერესებისმიხედვით არიან გაერთიანებული ბავშვები. ჩვენი ინსტრუმენტულ-ვოკალური ანსამბლი „ნიავი“ (ხელმძღვანელი — პენსიონერი გ. კოპლატაძე) რესპუბლიკაში არის ცნობილი.

ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე გამწვანებისა და კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სექციები, რომლებსაც კომუნისტები ო. ენუქიძე, ი. ბიბილეიშვილი, გ. გაბრიჩიძე და რ. ასლამაზიშვილი უდგანან სათავეში. საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე კომუნისტები — სკკპ წევრი 1921 წლიდან ი. ფუხაევი, ვლ. ჯანჯღავა, შ. ყურაშვილი, ნ. დოკვაძე და სხვები.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას და ჩვენ, ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულ კომუნისტებს, გადასაჭრელი პრობლემები აღარ გვქონდეს და გაწეული მუშაობაც ყოველმხრივ გვაკმაყოფილებდეს.

ცნობილია, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შეტევისა და ბრძოლის საკითხი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა მთელი სერიოზულობით დააყენა, აგრეთვე ის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვა ყველა ნაკლოვანებისა და ნაკლოვანებათა დაძლევას, დღის წესრიგში აყენებს მიკრორაიონის საბჭოსთან არსებული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების, მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საკითხს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ მიკრორაიონის საბჭოსთან არსებულ პარტიულ ორგანიზაციას თითქმის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის როლი და ფუნქციები აკისრია, იგიც პასუხისმგებელია მიკრორაიონის ტერიტორიაზე საწარმო-დაწესებულებების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების საქმიანობისათვის. მისი გავლენა უნდა გასწვდეს ყოველ უბანს, ქუჩას, თითოეულ საცხოვრებელ სახლს, როგორც ვხედავთ, უადგილად ფაფალა, თითქმის განუსაზღვრელია საკითხთა წრე, რომლებზეც უნდა იმსჯელონ და თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვან კომუნისტებმა. ამიტომ, რა თქმა უნდა, აჯობებს, თუ უფრო მეტი გამოცდილი, შრომასა და ბრძოლაში ნაწრთობი კომუნისტი გვეყოლება ამ ორგანიზაციაში.

არ ვიცით, სხვები რას იტყვიან, მაგრამ, ჩვენი აზრით, საქმე ძალზე მოიგებს, ჩვენი მიკრორაიონის მცხოვრები კომუნისტები, რომლებმაც წინათ სხვა შრომითს კოლექტივებში პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი, პენსიაზე გასვლისას ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში რომ გაერთიანდებოდნენ. ისინი თავიანთი აქტიურობითა და გამოცდილებით ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ ჩვენს საერთო საქმეს, რითაც, ჯერ ერთი, გამსხვილდება პარტიული ორგანიზაცია, ამასთან ამაღლდება მათი ბრძოლისუნარიანობა, გაძლიერდება კომუნისტების ავანგარდული როლი და გავლენა მიკრორაიონის ცხოვრებაზე. ხომ შეიძლება ისე გამსხვილდნენ ასეთი პარტიული ორგანიზაციები, რომ მათ განთავისუფლებული მდივნებიც კი ჰყავდეთ.

გელოდებით, ძვირფასო ამხანაგებო, შრომის ვეტერანებო! ჩვენთან ძალიან საინტერესო და კეთილშობილური საქმე გიხმობთ. სწორედ თქვენი შრომისა და ცხოვრების, გამოცდილების მაგალითზე აღიზრდება ჩვენი მომავალი თაობა, სწორედ თქვენ დაგეხმარებით იმ ნეგატიური მოვლენების, მეშჩანური, კერძომესაკუთრული ტენდენციების აღმოფხვრაში, რომლებიც ჯერ კიდევ შეიმჩნევა ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს უბნებზე, თქვენს საცხოვრებელ ადგილს.

ო. ფერაძე,
გლდანის მეორე მიკრორაიონის საბჭოსთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი,

რ. გურგენიძე,
მიკრორაიონის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე, ბიუროს წევრი.

თბილისი, ლენინის რაიონი.

ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲔᲑᲖᲔ

პრაქტიკასთან კავშირში

სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის სამკერვალო საამქროს მეშვიდე ბრიგადის წევრები „ეკონომიკური ცოდნის სკოლაში“ არიან გაერთიანებული. ეს ბრიგადა კომკავშირულ-ახალგაზრდულია და დამსახურებულადაც ატარებს კომუნისტური შრომის საპატიო სახელს. ბრიგადის თითოეული წევრის კოლექტივის საერთო წარმატებებში საკუთარი წვლილი შეაქვს და ამიტომაც შემაჯამებელ მეცადინეობაზე ყველა რეფერატი თუ პროპაგანდისტ დ. ხიხარულიძის კითხვებზე გაცემული ყოველი პასუხი, ძირითადი თემის ჩათვლით, მკვიდროდ უკავშირდებოდა მსმენელთა პრაქტიკულ მოღვაწეობას, მათს ზრდაზეს ხოთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის.

სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ი. პაპასქირი) 1960 წელს დაარსდა. მისი მწარმოებლობა ყოველწლიურად იზრდება, ამჟამად საწარმო წელიწადში 7 მილიონ მანეთზე მეტ პროდუქციას იძლევა. წელსაც პირველი კვარტალის გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულა და პარტიის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა დამსახურა.

ამ წარმატებების ფონზე მართლაც თვალსაჩინო იყო ის აქტიურობა, რომელსაც შრომის მოწინავენი იჩენდნენ ეკონომიკური ცოდნის სკოლის შემაჯამებელ მეცადინეობაზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. ხაკა, ბრიგადის კომკავშირული ბიუროს მდივანი მ. კალანდია, გამოცდილი ოსტატი და, დამრიგებელი ო. გიცმა, შრომითი დიდების მესამე ხარისხის ორდენის კავალერი თ. ქამუშაძე და სხვები აქაც ეკონომიკური საკითხების ცოდნით, გაარჩევდნენ პასუხებით ტონს აძლევდნენ სხვა მსმენელებს.

მეცადინეობის ძირითადი თემა „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია“ ფართოდ უკავშირდებოდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლა, ახალი რეზერვების გამოვლინება და შემხვედრი გეგმები, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვა და დისციპლინის განმტკიცება და სხვ. მსმენელები ლაპარაკობდნენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის პარტიის მიერ დასახულ გეგმებსა და საწარმოს კონკრეტულ ამოცანებზე, საკუთარ ადგილსა და მოწოდებაზე ამ საერთო-სახალხო ბრძოლაში. ამიტომ მეტად ბუნებრივად და გულწრფელად ჩანდა ნ. ხოკაას საუბარი იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა მკერავს, რომელიც მხოლოდ მეხუთე თვეა ფაბრიკაში მუშაობს, მხარში ამოუდგნენ გამოცდილი ოსტატები და უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომ მას შეეთვისებინეს და შეაყვარეს ბრიგადისადმი და ახლაც არ ტოვებენ უყურადღებოდ. შემდეგ თვითონვე გააანალიზა ეს გარემოება და აღნიშნა, რომ ზრუნვა კოლექტივსა და მის ყოველ წევრზე, საერთო წარმატებებისათვის ერთიანი ბრძოლა გამომდინარეობს სწორედ ჩვენი სოციალისტური თანაცხოვრების პრინციპებიდან, რომლებიც განმტკიცებული და დაკანონებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ახალი კონსტიტუციით. ასეთივე პათოსი იგრძნობოდა ლ. ბებიას გამოსვლაშიც, რომელმაც ილაპარაკა სოციალისტური შეჯიბრების არსზე, მის ფორმებსა და მეთოდებზე და კონკრეტული ფაქტებით დამტკიცა ის, თუ რაოდენ დიდი სიკეთე მოაქვს ამ უანგარო შრომითს მეტოქეობას რომელიც კოლექტივისა და პიროვნებისათვის, ისე საერთო სახალხო საქმისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს მიუძღვნა აგრეთვე თავისი გამოსვლა ზ. ხაკამ, ილაპარაკა იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მათ ეკისრებათ ბათუმის, თელავისა და გორის სამკერვალო ფაბრიკებთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გამო. ამ ცნობილ საწარმოებთან შეჯიბრებაში თავი რომ არ შეირცხვინოს, თავდადებით იბრძვის მთელი საწარმო და მათ შორის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაც, რომელმაც ვალდებულება იკისრა 5 პროცენტით აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და წლიური გეგმა შეასრულოს ახალი კონსტიტუციის დღისათვის.

შემაჯამებელმა მეცადინეობამ ნათლად წარმოაჩინა თვისებები ჩვენი მშრომელი ადამიანებისა — ღრმად და საფუძვლიანად ერკვევიან ეკონომიკურ საკითხებში, შეგნებული ჰქონდეთ საბჭოთა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და გამოჰქონდეთ ის დასკვნები, რომლებიც ჩვენი წინსვლის ნამდვილ გარანტიას იძლევა.

მთელ შემაჯამებელ მეცადინეობას ნათელ კვალად გასდევდა ლ. ი. ბრეჟნევის ცნობილი მოგონებების შთამაგონებელი ძალა და განსაკუთრებით „აღორძინების“ ძირითადი აზრი, რომ საბჭოთა ქვეყნის წინსვლა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა დიდად არის დამოკიდებული თითოეულ ჩვენთანგანზე და ამ დიდი მიზნის მისაღწევად ძალ-ღონე არ უნდა დავზოგოთ.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲨᲠᲔᲢᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილმა — „ეამინდობის გამო დროებით შექმნილი სიძნელეების დაძლევის შესახებ — ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

ზესტაფონის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებას, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებისადმი მიმართულ ამ წერილს იხილავდა, წითელ ზოლად გასდევდა ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებების „მცირე მიწისა“ და „აღორძინებულ“ პატრიოტული სულისკვეთება, ბოლშევიკური შეუდრეკელობის და დარაზმულობის დიდი ძალა.

შთაგონებათა ეს უშრეტი წყარო შესანიშნავი ორიენტირი გახდა პარტიული განათლების ქსელში შემაჯამებელ მეცადინეობების მაღალ იდეურ დონეზე მოწყობისათვის, მსმენელთა ცოცხალი, ენერგიანი, დამაჯერებელი აქტივიზაციისათვის.

სწორედ ასეთ შეფასების იმსახურებს კლდეეთის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლა, რომელმაც სწავლების მეორე წელი განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის კურსის შესწავლას დაუთმო.

პროპაგანდისტმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ჩინჩილ ჭანკოძემ მეცადინეობის ძირითად თემად მსმენელებს შესთავაზა „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და განვითარებული სოციალიზმი“.

კოლმეურნეებმა დ. ბუაძემ, ი. დუგლაძემ, დ. მარუაშვილმა, ა. ოსანაძემ, ზ. ოლოაძემ დამაჯერებლად ისაუბრეს საკითხებზე: „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის მანიფესტი“, „საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა“, „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა, სოციალისტური სამშობლოს დაცვა“ და სხვა.

პრაქტიკული ხასიათი მისცა თავის გამოსვლას კოლმეურნე გ. ლაბაძემ. საკითხი — სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებანი და მოვალეობანი საუკეთესოდ გაანალიზა ადგილობრივი ფაქტებით.

კონსტიტუციის ეკონომიკური სისტემა რომ განმარტა, მსმენელმა ბ. ჭუბაბიძემ დამაჯერებელი ფაქტებით ცხადყო საკუთრების სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით, საწარმოო ძალების განვითარების განუსაზღვრელი საშუალებანი, რომ ჩვენს ქვეყანაში არავის არ აქვს უფლება სოციალისტური საკუთრება გამოიყენოს პირადი გამორჩენის მიზნით.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ა. გაფრინდაშვილმა საქმიანად ისაუბრა კონსტიტუციის მე-12 მუხლზე, სადაც ნათქვამია: „...კოლმეურნეობები, ისევე როგორც სხვა მიწათმოსარგებლენი, ვალდებული არიან ეფექტიანად იყენებდნენ მიწას, უფროხარდებოდნენ მას, ზრდიდნენ მის ნაყოფიერებას“.

კონსტიტუციის ეს მოთხოვნა უხვად ირეკვლოდა კლდეეთის კოლმეურნეობაში ამ ხუთი წლის წინათ. ძალზე დაბალი იყო ყურძნის, მარცვლეულის, ბოსტნეულის მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო ქონების დატაცებას, მიწერების ფაქტებს.

რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა, პარტიულ, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებამ, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაჩაღებულმა გლობალურმა ბრძოლამ სასიკეთო გავლენა მოახდინა კლდეეთის კოლმეურნეობაზე.

შემაჯამებელ მეცადინეობაზე მოყვანილი იქნა ეკონომიკური აღმავლობის დინამიური მაჩვენებლები, რომელთა შესახებაც სიამაყით შეიძლება საუბარი.

აი, რის შესახებ იყო ლაპარაკი შემაჯამებელ მეცადინეობაზე. ეს იყო მართლაც იდეოლოგიური და პრაქტიკული მუშაობის საქმიანი შეჯამება, რომელიც მიღწეულია ქვეყნის ძირითადი კანონით ამაღლებული ადამიანის შრომით.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კითხვა-პასუხის საღამო

აბრრლაური. მექანიზებული სატყეო მეურნეობა ერთ-ერთი დიდი სწარმოა რაიონში, სადაც იურიდიულ საკითხებზე მრავალი ღონისძიება იმართება. ახლახან იურიდიული კითხვა-პასუხის საღამოს მუშა-მოსამსახურეებთან ერთად ესწრებოდნენ ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები და წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრები. საღამო გახსნა მეურნეობის იურისტკონსულმა გ. ნეფარიძემ; მონაწილეობდნენ რაიონის პროკურორი ალ. წულუკიძე, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე თ. რეხვიაშვილი, ადვოკატი ე. ხუციშვილი. იურისტებმა მრავალ საინტერესო შეკითხვას გასცეს პასუხი.

ა. კერესელიძე.

კოლეგრესის შედეგები

ᲐᲠᲐᲛᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐ. „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ“ კონგრესის შედეგები განიხილა თბილისის პროფკავშირული აქტივის კრებამ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ თ. მოსაშვილმა, — კონგრესი, — თქვა მან, — გახდა მილიონთა ტრიბუნა, ბრძოლის გამოცდილების, საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის პრობლემებზე აზრთა ფართო გაზიარების ტრიბუნა. საგულისხმოა, რომ კონგრესზე აქტიური პოზიცია დაიკავეს განვითარებადი ქვეყნების დელეგაციებმა, რომლებმაც მოითხოვეს, რომ საჭიროა ბრძოლის გაძლიერება ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. მაგალითად, ანგოლის, სირიის, კინგოს, გვინეა-ბისაუსა და სხვა განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებმა აღნიშნეს სოციალისტური ქვეყნების, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, აღნიშნეს, რომ ისინი დიდ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევენ კოლონიური ჩაგრისაგან განთავისუფლებულ ახალგაზრდა სახელმწიფოებს.

დელეგატთა გამოსვლებში, კონგრესის მიერ მიღებულ დოკუმენტებში განსაკუთრებული აღგილი დაიკავა საკითხმა იმის შესახებ, რომ საჭიროა მსოფლიო საზოგადოებრიობის მეცადინეობის გაკეთილურება ნეიტრონული იარაღის წარმოებისა და გავრცელების აკრძალვისათვის.

კრებაზე გამოვიდნენ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგადამშემკეთებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. გაჩეჩილაძე, ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი მ. ბარათაშვილი, კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე კ. კარგარეთელი და სხვები, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს პროფკავშირთა მე-9 მსოფლიო კონგრესის შედეგებს, ხაზი გაუსვეს, რომ რესპუბლიკის მშრომელები ერთგულია რაიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკრანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს. აღინიშნა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, რომლებმაც მხურვალედ აღიქვეს ვიზიტის შედეგები, მაღალ შეფასებას აძლევენ საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაწეულ უდიდეს მუშაობას.

დასასრულ კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც იწონებენ პროფკავშირთა მე-9 მსოფლიო კონგრესის შედეგებს.

(საინფორმი).

მეცნიერები — მევენახეებს

თქვენთვის, მევენახეთა და მეხილეთა!

ᲑᲐᲠ-ᲕᲔᲜᲐᲮᲘᲗᲐᲨᲘ მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში. აქ წარმოებაში დაინერგა და ცარგ შედეგს იძლევა ისეთი კომპლექსური ღონისძიებები, როგორიც არის შარდოვანას გამოყენება ვენახში, აზოტიანი სასუქების გამოყენება ხეხილის სანერგეში; ვაზის სანერგეში ნამყენი ნერგის დარგვა წინასწარ მომზადებულ ბაზოებში; თესლოვანი ხეხილის სარგავი მასალის დაჩეარებული გაბარება და სხვ.

ლაბორატორიულმა და საველე სამუშაოებმა ცხადყო, რომ შარდოვანას შეტანა ვენახში საშუალოდ 30 პროცენტით ზრდის მოსავლიანობას. ამ ღონისძიებას რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში იყენებენ. კერძოდ, გორის რაიონში — 300 ჰექტარზე, საგარეჯოში — 5000-ზე, თელავში — 1.365-ზე და ა. შ.

აზოტოვან სასუქებს ხეხილის ყველა სანერგეში იყენებენ. ეს ღონისძიება ნამყენი ნერგის გამოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი წყაროა, რომლითაც მეურნეობები ათასობით მანეთ წმინდა მოგებას ღებულობენ, ხოლო ნამყენი ნერგის გამოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ 5000-ით მატულობს.

ეფექტიანი გამოდგა სანერგეში წინასწარ მომზადებულ ბაზოში ნამყენის დარგვა. ეს მეთოდი დანერგილია სანერგე მეურნეობებში, უმეტესად კი — კახეთის რაიონებში, ამ ღონისძიების ღირსება ის არის, რომ იგი ნიადაგის ზედა ფენასა და ბაზოში მცენარის განვითარებისათვის ხელსაყრელ ტენიანობას ქმნის და ნერგის მოვლის ბევრ შრომატევად ოპერაციას გამორიცხავს. ამის შედეგად ყოველი 100.000 ნამყენის გამოყვანაზე მიღებული ეკონომია ორი ათას მანეთს აღემატება.

ხეხილის ნერგის გამოყვანა-გაბარება მულჩის მეშვეობით ახალი ღონისძიებაა, რომელიც რესპუბლიკაში ათასობით ჰექტარზეა დანერგილი. ეს მეთოდი სანერგეების დარგვის შემდეგ, ვაზაფხულზე მწკრივთა შორის მულჩის მასალად იზოლის გამოყენებას ით

ლენინიანის ქვირფასი რელიკვია

ვ. ი. ლენინის ცენტრალურმა მუზეუმმა საფრანგეთიდან მიიღო ბანდეროლი. მასში აღმოჩნდა დღემდე უცნობი ნახატი-პორტრეტი, რომელზეც რევოლუციის ბელადია გამოსახული. ხურათის ავტორია გამოჩენილი რუხი მხატვარი ფ. მალიავინი.

დღემდე უცნობი ფურცლები

მუზეუმში დაცულია ფ. მალიავინის მიერ შესრულებული ვ. ი. ლენინის რამდენიმე პორტრეტული ნახატი. ეს სურათები მუზეუმს გადასცა რევოლუციის მხატვრების ასოციაციის ყოფილმა თავმჯდომარემ ა. გრიგორიევმა. ვკითხულობთ გრიგორიევის მოგონებებს, რომლებიც მუზეუმში ინახება. ფ. მალიავინი დაწვრილებით უამბობს თავის მეგობარს ა. გრიგორიევს ვ. ი. ლენინთან დაუვიწყარი შეხვედრების შესახებ... ლენინმა ნება დართო მალიავინს გაეკეთებინა ჩანახატები როგორც კრემლში ბინაზე, ისე მუშაობის დროს.

მოელვარებენ ეფფრცლავთ ალბომს და თითქოს ცოცხლდებიან შორეული დღეები... ან პირველი ჩანახატი: ვლადიმერ ილიას ძე ყურს უგდებს ორატორის ბაქიბაქობას. ლენინი ესაუბრება მუშებს, ლენინი სამუშაო მაგიდასთან. მხატვარი ცდილობდა აღებეჭდა ქაღალდზე განუმეორებელი წამები დიდი ადამიანის ცხოვრებიდან. ან, ნათლად ხედავ და გრძნობ, როგორ შეიკრა ლენინმა წარბი, რა გულიანად იცინის ბავშვებთან ყოფნის დროს...

„მხატვარს, რომელსაც წილად ხვდა დიდი ბედნიერება დღეების განმავლობაში შეხვედროდა ვ. ი. ლენინს, — გვეუბნება მუზეუმის „ლენინის კაბინეტი და ბინა კრემლში“ დირექტორი ა. შეფოვი, — ეს თემა მთელი ცხოვრების მანძილზე თან გაჰყვა. მუზეუმის ხელზე მიღებული ეტიუდი იმას მოწმობს, რომ მალიავინი ხასიათგარეთაც პერიოდულად მუშაობდა ლენინის პორტრეტებზე, ამას ადასტურებს წარწერა ფრანგულ ენაზე...»

არქივებმა არ შემოგვინახეს ცნობა იმის შესახებ, თუ როდის ხვდებოდა მხატვარი ლენინს. მაგრამ ჩვენ წინაშეა ფ. მალიავინის ნახატი: ლენინი დგას თავის საწერ მაგიდასთან. უკან მოჩანს საწერი ხელსაწყო, რომელიც ვლადიმერ ილიას ძეს უნეტიკულელმა ხალხურმა ოსტატებმა აჩუქეს. დაღესტნის დელეგაცია ლენინს კრემლში 1921 წლის 12 თებერვალს ესტუმრა. რევოლუციის ბელადმა მთიელებს თავისი ფოტოსურათი აჩუქა წარწერით: „წითელ დაღესტანს“. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მალიავინი ლენინთან სწორედ 1921 წელს ყოფილა...

ალბომის ერთ-ერთ ფურცელზე მალიავინისებური სინანდფიფთ, წითელი და შავი ფანქრით დახატულია ვლეხ ქალი. ვარაუდობენ, რომ ეს ჩანახატი მხატვარმა კრემლში ერთ-ერთი საუბრის დროს გაკეთა. ვლადიმერ ილიას ძეს მოსწონდა მალიავინის ნამუშევრები, განსაკუთრებით ვლეხის ტიპები. გამოფენაზე, ალბეთი შესაძლებელია, ლენინმა ყურადღება მიაქცია მხატვრის დიდ ტილოს „ვრიგალს“, რომელიც ი. რეპინის თქმით, „ყველაზე ნიჭიერი სურათი იყო რუსეთის რევოლუციის მოძრაობაში“...

ლენინმა იცოდა, რომ მალიავინი რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მუშაობა და გულხთა ინტერესების დამცველი იყო, აქედან რეალისტურ ხელოვნებას და ფუტურიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა. ბევრი რამ გაკეთა მან 1917 წელს ტრეტიაკოვის გალერეის შესავსებად. რიაბუშინსკი მხატვარმა ჩამოაყალიბა სამხატვრო სახელოსნოები, სადაც ასობით ადამიანი ეზიარა რევოლუციის პროგრესულ კულტურას.

ხაფრანგეთის ქალაქ სენ-ეერმენ-ლაეალის მერს რობერ ლენეს პირად სამხატვრო კოლექციაში დაცულია მალიავინის ნახატი, რომელზეც გამოსახულია ვლადიმერ ილიას ძე თავის სამუშაო კაბინეტში. ჩვენ ესაზიზის ფოტოპრეს ვათვალიერებთ: ლენინი ესაუბრება ორ ქალს, ერთი მათგანი ადგილად გამოსაცნობია — კლარა ცეტკინი. მეორე ქალი ზის და ბლოკნოტი და ფანქარი უჭირავს ხელში. ხეტავ ვინ უნდა იყოს? მკვლევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ ეს ქალი ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ბესი ბიტია. 1917 წელს იგი ჩამოვიდა რუსეთში, თავისი თვალით ნახა ოქტომბრის რევოლუცია, ახლო მეგობრობა აკავშირებდა ჩვენი ქვეყნის მეგობრებთან რის ვილიამსთან და ჯონ რიდთან. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ თავის წიგნებში ამერიკელმა ქალმა სიმპათიათ და დიდი რეალიზმით დახატა რევოლუციის დღეები. 1918 წელს და 1921 წლის მარტში ბესი ბიტი შეხვდა ვლადიმერ ილიას ძეს, მონაწილეობდა აგიტმატარებლის „ოქტომბრის რევოლუცია“ მოგზაურობაში რევოლუციური პროპაგანდის ბოლოდ და ქალაქებში. ცნობილია, რომ ლენინმა ამერიკელ ჟურნალისტ ქალს სთხოვა გამოეგზავნა მისთვის წიგნი „რუსეთის წითელი გული“.

მალიავინის სამი ნახატი ლენინის გამოსახულებით ინახებოდა პაბლო პიკასოსთან. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრი მსოფლიოში სახელგანთქმულ ფრანგ მხატვართან სტუმრად იყო ცნობილი საბჭოთა ხელოვნებათმცოდნე მიხეილ ალპატოვი, ის, როგორ იგონებს იმ შეხვედრას ალპატოვი:

„პიკასომ დიდი მღელვარებით მიჩვენა მალიავინის ნახატები, მაღალი შეფასება მისცა მათ რეალიზმს და ლენინის შინაგანი სამყაროს და ხასიათის ზედმიწევნით ზუსტ გამოსახვას... მალიავინი ლენინს ხალხის მასების წინაშე გამოსულის დროს ხატავდა. სწორედ ეს სურათები იყო პიკასოს საკუთრება, რომელსაც ის თვალსაჩინოებით უფრთხილდებოდა“...

სამწუხაროდ, ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში მალიავინის შემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ინახება. მისი ჩანახატები დაცულია პარიზის კოლექციონერებთან, ლენინგრადის ბრიტანეთის მუზეუმისა და ამერიკის შეერთებული შტატების მუზეუმში. ამიტომ არის, რომ მალიავინის მიერ შესრულებული ყოველი ახალი სურათი, რომლებიც იმ ისტორიული წამების განუმეორებელ ელფერს და კოლორიტს გვაცნობს, ძვირფასი რელიკვიაა ლენინიანის შესწავლის საქმეში.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.
მოსკოვი.

ბუნების დაცვის მსოფლიო დღის გამო

ეს ყველას საქმეა!

სუფთა ჰაერ, ჯანმრთელობის საფუძველია

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს დედაქალაქში ავტომანქანების მოძრაობის გაფართოების გამო, ცენტრალურ ქუჩებსა და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში აშკარად იმატა მომწამლავი აირების რაოდენობამ. ეს განსაკუთრებით, ეგრეთ წოდებულ, პიკის საათებში იგრძნობა.

— რა იწვევს ამ აირების დაჭარვებას და რა შედეგები მოჰყვება მას? — ამ კითხვით მივმართა „კომუნისტის“ კორესპონდენტმა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გ. ნათაძის სახელობის ხანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს **გივი აბდუშელიშვილს.**

— ახლა უკვე ყველასათვის ცნობილია, — გვითხრა მან, რომ ქალაქში ჰაერის გაბინძურებას ძირითადად ავტომანქანების გამონაბოლქვი აირები იწვევს. გამონაბოლქვი შეიცავს ნახშირბადს, აზოტის ჟანგეულებს, გოგირდის ორეანგს და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც ჰაერს წამლავს და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედებს.

ჩვენი ინსტიტუტი, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კვლევასთან ერთად, მოწოდებულია შეისწავლოს გარემოს გაჭუჭყიანებისა და მისი პროფილაქტიკის საკითხი, კერძოდ, თუ როგორ მოქმედებს მავნე აირების შემცველი ატმოსფერული ჰაერი ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ავტომანქანების გამონაბოლქვთან ერთად ატმოსფეროს გაჭუჭყიანებაში თავისი წვლილი შეაქვს სამრეწველო დაწესებულებების მიერ გამოყოფილ აირებს, რომლებიც ჰაერთან ერთად შედის ნიადაგში და ნიადაგქვეშა წყლებში.

ამჟამად ჩვენი ინსტიტუტის რამდენიმე ლაბორატორია იკვლევს ამ საკითხებს. ატმოსფერული ჰაერის ლაბორატორიის მეცნიერი მუშაკების სპეციალური გაზომვით დასტურდება, რომ მავნე აირები ატმოსფერულ ჰაერში დასაშვებ ოდენობას აღემატება.

— ხომ ვერ დაგვისახელებთ ასეთი ნორმების დარღვევის მაგალითებს?

— ლაბორატორიის მუშაკებმა განსაზღვრეს, რომ თბილისის ზოგიერთ უბანში ჰაერში აზოტის ჟანგეულების შეცველობა ნორმას აღემატება, მაგალითად, მსუბუქი ავტომანქანებისა და ავტობუსების გარაჟების მახლობლად. რაც შეეხება ხაჟარმოთა მიერ ჰაერში გამონაყოფ მავნე აირებს, ადრე ქალაქ რუსთავში ნახშირბადის რაოდენობა ნორმას აღემატებოდა, წელს მისი ოდენობა უფრო შემცირდა, ხოლო გოგირდოვანი ანჰიდრიდის ოდენობა ფარგლებში იყო, წელს კი მოიმატა. ასეთივე ცუდი მდგომარეობაა სხვა დიდ საწარმოთა მახლობლად. მაგალითად, ზესტაფონში, ფეროშენადნობი ქარხნის ზონაში ჰაერში გაზრდილია მანგანუმის რაოდენობა.

ასეთ დარღვევებს ინსტიტუტი აცნობს სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიური სამსახურის მთავარ სამმართველოს და ისინი უკვე პრაქტიკულად აწარმოებენ ჰაერის გაჯანსაღებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

— როგორ შეიძლება მავნე აირებით გაჭუჭყიანებისაგან ჰაერის დაცვა?

— საწარმოებს, რომლებიც მავნე აირებს გამოყოფენ, აქვთ სპეციალური ფილტრები. ამ ფილტრებში გატარებული აირები ნაკლებად ტოქსიკურია, მაგრამ ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ფილტრებში არა აქვთ სრულ წესრიგში ან ისინი გასაუმჯობესებელია და ამას ნაკლებ უურადღებას აქცევენ. ცხადია, საწარმოთა ხელმძღვანელებმა ამ საქმეში მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ.

— იმისათვის, რომ თბილისში ჰაერი გაჯანსაღდეს, რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს? ავტომანქანების რაოდენობა ხომ ხისტემატურად იზრდება და მათმა რიცხვმა რამდენიმე ათასს გადააჭარბა?

— უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სასტიკად ებრძოლოთ ტექნიკურად გაუმართავი მანქანების ქალაქში მოძრაობას, არ უნდა დაუშვათ იკაროსის ტიპისა და სატვირთო ავტომანქანების ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში მოძრაობა, რადგან ჯზების გადატვირთვის გამო, ავტომანქანების დამუხრუჭებისას დიდი რაოდენობით გამოიყოფა ტოქსიკური აირი და ქვარტლი. ამ საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებსა და ავტოინსპექციის მუშაკებს ეკისრებათ. საუურველია ინდივიდუალური ავტომანქანების მფლობელებისათვის მოეწყოს მიწისქვეშა გარაჟები, რაც შეამცირებს ეზოებსა და ქუჩებში ავტომანქანების რაოდენობას.

ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებაში დიდ როლს ასრულებს მწვანე ნარგავები. საშუალოზოროდ, ამ მხრივ თბილისი ბევრად ჩამორჩება მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებს. უნდა გაუმჯობესდეს ქალაქის ქუჩების მტვრის შემწოვი მანქანებით დასუფთავება და ბორწყვა, რადგან მავნე აირები ილექება ნიადაგზეც, ჩადის შიგ და წყლების გაჭუჭყიანებას იწვევს. ჰაერის გაჯანსაღებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აგრეთვე ჰაერის ვენტილაციას.

— ხომ ვერ გვეტყვით, მოსახლეობის ჯანმრთელობის შესწავლის მხრივ რა შედეგები გაქვთ მიღწეული?

— უკვე ათეული წელზე მეტია, დაკვირვებას ვაწარმოებთ, რა გავლენას ახდენს მავნე აირები ადამიანის ფუნქციურ ცვლილებებზე. კერძოდ, შესწავლილია ატმოსფეროს გაჭუჭყიანების გავლენა ბავშვთა ფიზიკურ განვითარებაზე, შესწავლილია ორგანიზმზე მანგანუმის ზოგიერთი ბიოლოგიური მოქმედების ასპექტები. დადგენილია, რომ საცაც გაჭუჭყიანება მეტია, მატუ-ლობს კატარები, ფილტვის ქრონიკული დაავადებები და ა. შ.

აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანს თბილისის ქუჩებში გახშირდა მძღოლთა მიერ სიგნალიზაციის უწესივროდ ხმარების შემთხვევები. ეს განსაკუთრებით, ღამის საათებშია ალტანელი.

საერთაშორისო ცხოვრება

ყოველ დღე ● ყოველ დღე ● ყოველ დღე

● საკდესი იტყობინება

ჟ. ვალდჰაიმის განცხადება

ნიუ-იორკი, (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჟ. ვალდჰაიმმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელებს ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რათა წვლილი შეიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის წარმატებით დამთავრებაში. ამრიგად, საერთაშორისო გაერთიანება შეძლებს ხელი შეუწყოს საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას, გამალებული შეიარაღების ალაგმვასა და ნამდვილი პროგრესის მიღწევას განიარაღების დარგში, აღნიშნა მან სპეციალური სესიის მონაწილე სახელმწიფოების დელეგაციათა მეთაურების წინაშე გამოსვლისას.

კ. ვალდჰაიმმა გამოთქვა იმედი, რომ თანდათან დაძლევენ დარჩენილ სიძნელეებს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებაზე.

მტკიცე პროტესტი

ვენა. (საკდესი). ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მტკიცე პროტესტი განაცხადა ავსტრიის კომპარტიის ხელმძღვანელთა ტელევიზიით გამოსვლის უფლების შელახვის წინააღმდეგ. სატელევიზიო კომპანიის დირექცია უარს ამბობს დაუთმოს ეკრანი კომუნისტებს სხვადასხვა საკითხზე თავიანთი შეხედულებების გასაშუქებლად.

ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოითხოვა გაუქმონ ავსტრიის ტელევიზიის დისკრიმინაციული ღონისძიებანი კომპარტიის მიმართ.

ᲓᲔᲘᲚᲘ ᲣᲝᲠᲚᲓᲘ“ ᲑᲥᲔᲖᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ნიუ-იორკი, (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორლდმა“ დაბეჭდა სტატია ზ. ბჟეზინსკის შესახებ სათაურით „უშიშროების ძარგამოთხრას მრჩეველი“.

ბჟეზინსკის ოფიციალური პოსტია პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, წერს გაზეთი. მაგრამ ჯერ-ჯერობით მას არც ერთი ღონისძიება არ შემოუთავაზებია, რომელიც ხელს უწყობდეს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების განმტკიცებას. მთელი მისი საქმიანობა არსებითად მიზნად ისახავს მშვიდობისა და ამერიკელი ხალხის კეთილდღეობის ძარგამოთხრას, ქვეყნის ნამდვილი უშიშროების შესუსტებას.

ბჟეზინსკის თვალსაზრისი, პოლიტიკა, რომელსაც იგი ადგას, ვანგარძობს გაზეთი, გამოხატავს იმ გარკვეული ფინანსური და მეტად აგრესიული მემარჯვენე წრეების შეხედულებებს, რომლებიც დიდად არიან შეწუხებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერების, სოციალიზმის, საერთაშორისო შუშათა კლასის აქტიურობის ზრდით, რომლებსაც ამინებენ კაპიტალიზმის მზის განუბრელი ჩასვენება.

ამ წრეებისათვის ხალხის მიერ ნამდვილი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის მოპოვება შთაგონების წყარო როდია. როცა კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული ინგოლელი ხალხი აშენებს სახალხო ხელისუფლებაზე დაფუძნებულ საზოგადოებას, ბჟეზინსკის ყაიდის ადამიანები დრკეტიან და იარაღს ეპატიჟებიან იმ მოელენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომლებიც მათ მიაჩნიათ თავის თავისა და იმ ინტერესების საფრთხედ, რომელთა დაცვასაც ხელი მოჰკიდეს. ძვრებს, რომლებიც კაცობრიობისათვის განთავისუფლებას ნიშნავს, ისინი კატასტროფად აღიქვამენ.

სწორედ იმ დღეებში, როცა ბიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესია, წერს „დეილი უორლდი“, ბჟეზინსკი დაბრუნდა ჩინეთის სახალხო ხელისუფლების მაოისტ უზურპატორებთან აზრთა გაზიარების შემდეგ. მან ეჭვქვეშ დააყენა თვით დამაბულობის შენელების პრინციპი და ჩამოაყალიბა მკაცრი ხაზი საბჭოთა კავშირისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მიმართ.

ბჟეზინსკი იზიარებს პეკინის ხელმძღვანელობის ბევრ შეხედულებას, თუმცა კარგად ეცოდინება, რომ მაოისტურ მსოფლმხედველობას საფუძვლად უდევს მსოფლიო ომის გარდუვალობა, თუნდაც ეს კაცობრიობის მეტი ნაწილის მოსპობას ნიშნავდეს.

ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის „სტრატეგიული ხასიათი“, რასაც ხაზს უსვამს ბჟეზინსკი, აიხსნება სწორედ ომის პრობლემაზე შეხედულებათა ერთიანობით, ამ კონტექსტით უნდა შევადაროთ ბჟეზინსკის „ცივი ომის“ სულისკვეთებით აღსავსე განცხადება. როგორც გვიჩვენებს ჰარისის სამსახურის მიერ ამასწინანდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, წერს გაზეთი, ამერიკელთა 75 პროცენტზე მეტი მხარს უჭერს დაძაბულობის შენელების, მშვიდობის განმტკიცებისა და გამალებული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების დადების კურსს. მაგრამ თუ ამერიკელები ჯეროვან პასუხს არ გასცემენ იმ პოლიტიკას, რომელსაც ბჟეზინსკი იდგას, მთავრობის პოლიტიკის ოარეს ელემენტებს უფრო საშიში ხასიათი მიენიჭებათ, ხაზს უსვამს „დეილი უორლდი“.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲔᲡᲠᲘᲓᲘᲡᲐᲜ

ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲝᲡ ᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲝᲛᲑᲘ!

● **ბერლინი.** შვეიცარიის მშვიდობის მოძრაობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის თავმჯდომარეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღუობინებს, რომ 20 ათასზე მეტმა შვეიცარიელმა ხელი მოაწერა მოთხოვნას ნეიტრონული ბომბის აკრძალვის, ყველა სახეობის ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტის, განიარაღების კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. შვეიცარიელი მშვიდობის მომხრენი მოითხოვენ რაც შეიძლება მალე მოიწვიონ განიარაღების მსოფლიო კონფერენცია.

ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

● **ვენა.** ავსტრიის საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა მიმდინარე წლის აპრილში უზარმაზარი თანხა — 4,8 მილიარდი შილინგი შეადგინა. ეს აიხსნება იმით, რომ იმპორტი ბევრად აღემატება ექსპორტს. მაგალითად, აპრილში ავსტრიამ შემოიტანა 18,9 მილიარდი შილინგის საქონელი, მაშინ როდესაც ექსპორტი მხოლოდ 14,1 მილიარდ შილინგს უდრიდა.

1,1 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲣᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲠᲘ

● **ბონი.** ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1,1 მილიონამდე მოლიანად ან ნაწილობრივ უმუშევარია. ეს განაცხადა ნიურნბერგში გამოსვლისას შრომის საკითხთა ფედერალური სამმართველოს პრეზიდენტმა ი. შტინგლმა.

ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

● **ოტავა.** რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მონრეალში გამართული კონფერენციის მონაწილეებმა კანადის მთავრობას მოსთხოვეს შეწყვიტოს ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმთან. კონფერენციაში მონაწილეობდა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლი პროფკავშირული, ქალთა, რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების 300-მდე დელეგატი.

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ — ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

ზ. ლომიძის ნახატი.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲙᲚᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ

„ᲓᲔᲘᲚᲘ ᲣᲝᲠᲚᲓᲘ“ ᲑᲥᲔᲖᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ნიუ-იორკი, (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორლდმა“ დაბეჭდა სტატია ზ. ბჟეზინსკის შესახებ სათაურით „უშიშროების ძარგამოთხრას მრჩეველი“.

ბჟეზინსკის ოფიციალური პოსტია პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, წერს გაზეთი. მაგრამ ჯერ-ჯერობით მას არც ერთი ღონისძიება არ შემოუთავაზებია, რომელიც ხელს უწყობდეს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების განმტკიცებას. მთელი მისი საქმიანობა არსებითად მიზნად ისახავს მშვიდობისა და ამერიკელი ხალხის კეთილდღეობის ძარგამოთხრას, ქვეყნის ნამდვილი უშიშროების შესუსტებას.

ბჟეზინსკის თვალსაზრისი, პოლიტიკა, რომელსაც იგი ადგას, ვანგარძობს გაზეთი, გამოხატავს იმ გარკვეული ფინანსური და მეტად აგრესიული მემარჯვენე წრეების შეხედულებებს, რომლებიც დიდად არიან შეწუხებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერების, სოციალიზმის, საერთაშორისო შუშათა კლასის აქტიურობის ზრდით, რომლებსაც ამინებენ კაპიტალიზმის მზის განუბრელი ჩასვენება.

ამ წრეებისათვის ხალხის მიერ ნამდვილი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის მოპოვება შთაგონების წყარო როდია. როცა კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული ანგოლელი ხალხი აშენებს სახალხო ხელისუფლებაზე დაფუძნებულ საზოგადოებას, ბჟეზინსკის ყაიდის ადამიანები დრკეტიან და იარაღს ეპატიჟებიან იმ მოელენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომლებიც მათ მიაჩნიათ თავის თავისა და იმ ინტერესების საფრთხედ, რომელთა დაცვასაც ხელი მოჰკიდეს. ძვრებს, რომლებიც კაცობრიობისათვის განთავისუფლებას ნიშნავს, ისინი კატასტროფად აღიქვამენ.

სწორედ იმ დღეებში, როცა მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესია, წერს „დეილი უორლდი“, ბჟეზინსკი დაბრუნდა ჩინეთის სახალხო ხელისუფლების მაოისტ უზურპატორებთან აზრთა გაზიარების შემდეგ. მან ეჭვქვეშ დააყენა თვით დამაბულობის შენელების პრინციპი და ჩამოაყალიბა მკაცრი ხაზი საბჭოთა კავშირისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მიმართ.

ბჟეზინსკი იზიარებს პეკინის ხელმძღვანელობის ბევრ შეხედულებას, თუმცა კარგად ეცოდინება, რომ მაოისტურ მსოფლმხედველობას საფუძვლად უდევს მსოფლიო ომის გარდუვალობა, თუნდაც ეს კაცობრიობის მეტი ნაწილის მოსპობას ნიშნავდეს.

ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის „სტრატეგიული ხასიათი“, რასაც ხაზს უსვამს ბჟეზინსკი, აიხსნება სწორედ ომის პრობლემაზე შეხედულებათა ერთიანობით, ამ კონტექსტით უნდა შევადაროთ ბჟეზინსკის „ცივი ომის“ სულისკვეთებით აღსავსე განცხადება. როგორც გვიჩვენებს ჰარისის სამსახურის მიერ ამასწინანდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, წერს გაზეთი, ამერიკელთა 75 პროცენტზე მეტი მხარს უჭერს დაძაბულობის შენელების, მშვიდობის განმტკიცებისა და გამალებული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების დადების კურსს. მაგრამ თუ ამერიკელები ჯეროვან პასუხს არ გასცემენ იმ პოლიტიკას, რომელსაც ბჟეზინსკი იდგას, მთავრობის პოლიტიკის ოარეს ელემენტებს უფრო საშიში ხასიათი მიენიჭებათ, ხაზს უსვამს „დეილი უორლდი“.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ — ᲮᲣᲗᲨᲚᲔᲓᲘ!

ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲔᲚᲗᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმისა და საზოგადოება „ცოდნის“ ინიციატივით 1977 წლის ოქტომბერში ენგურჰესზე შეიქმნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის მიზანია კულტურის საუკეთესო მონაპოვრების აზიაროს მშრომელი ადამიანები, ჰარმონიულად ხრულყოს და განავითაროს მისი ადეკურ-ესთეტიკური კრიტერიუმები. უნივერსიტეტის რექტორია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი პროფესორი დ. მჭედლიძე, პროორექტორი — ენგურჰესის მშენებლობის უფროსის მოადგილე ო. სარალიძე.

სასწავლო გეგმის მიხედვით უნივერსიტეტმა რამდენიმე საინტერესო მეცადინეობა ჩაატარა, კერძოდ, „ლენინიანა ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში“ და „ოქტომბრის რევოლუციის ამსახველი სპექტაკლები ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე“.

უნივერსიტეტის მსმენელებმა ნახეს აგრეთვე შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა სპექტაკლი — ლავრენტიევის „ოლეკა“ (სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ალექსიძის დადგმა); მუსიკათმცოდნე ეკა ეგანი მაჭავარიანმა წაიკითხა ლექცია დასავლეთ ევროპის, რუსს, საბჭოთა და ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ, ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტებმა კი საკონცერტო განყოფილება წარმოადგინეს. უნივერსიტეტის მსმენელები შეხვდნენ ქართველ მწერლებს. ქართულ დრამატურგიაზე მსმენელებს ესაუბრა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალთა კავშირის მდივანი გ. ცოცანელი. მოიწყო შეხვედრა ქართველ კინომუშაკებთან.

ახლახან ენგურჰესელებს შეხვედრა ჰქონდათ ქართული საოპერო ხელოვნების წარმომადგენლებთან. სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა დ. მჭედლიძემ წაიკითხა ლექცია ქართული საოპერო ხელოვნების განვითარების შესახებ. ამას მოჰყვა კონცერტი. მსმენელები დიდხანს უკრავდნენ ტაშს თბილისის საოპერო თეატრის სოლისტებს მაღალ ხელოვნებას: სსრ კავშირის სახალხო არტისტს ზ. ანჯაფარიძეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტებს ც. ტატიშვილს და ნ. ტუღუშს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ტ. მალიშევას, ოპერის ახალგაზრდა სოლისტებს კ. მდივანს და ა. ხომერიკს, კონცერტმაისტერ ლ. შაბანოვს.

ნ. სვანიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲛᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ“ № 5

გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეურნალის **„საქართველოს სოფლის მეურნეობის“** მორიგი, მეგუთე ნომერი. იგი იხსნება „მოწინავე სტატიით — „კონსტიტუციისა ჩვენს ცხოვრებაში“. „თავმჯდომარის ერთი დღე“ — ამ სათაურით ეურნალში გამოქვეყნებული ჩანახატი გვაცნობს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების თავმჯდომარის გ. წერეთლიძის შრომითს საქმიანობას; საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის პირველი მდივნის ბ. გულუას წერილი ეხება იმ ღონისძიებებს, რომლებიც რაიონში ხორცეულდება წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გასორმაკებლად.

მეცნიერ-მუშაკთა წერილები ეძღვნება მეცხვარეობის რეზერვების ამოქმედებისა და ცხვრის ხორცის წარმოების ტექნოლოგიის, ეაზის მოვლა-პატრონობისა და ეურძნის მოსაალიანობის გადიდების საკითხებს.

ეურნალს აქვს რუბრიკები „წაიკითხე საინტერესოა“, „ჩვენი კალენდარი“, „ბრძოლის ეკონომიკა შრომაში“, „ხელოვნება სოფელს“.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲯᲘᲕᲘᲔᲯᲜᲐᲛᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲛ კიდევ ერთხელ ცხადყო მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმისადმი მტრული, თავისი დიდმპყრობელური შოვინიზმის კურსი. პეკინმა არ მოერიდა ურთიერთობის აშკარად გამწვავებას ვიეტნამთან, რომლის 50-მილიონიანი ხალხი იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ მრავალი წლის ომის შემდეგ წარმატებით აშენებს სოციალიზმს გაერთიანებული სამშობლოს მიწა-წყალზე. ფართო ანტივიეტნამური კამპანიის განაღიებისათვის პეკინის ხელმძღვანელობამ საბაბად აირჩია ვიეტნამში მუდმივად მცხოვრებ ჩინური ეროვნებას პირთა „უფლებების დაცვა“, რომლებსაც თითქოს ღევნიან, ძარცვავენ და ფიზიკურადაც კი სპობენ.

მოგაგონებთ, რომ ვიეტნამში, ისევე, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მეტწილ ქვეყნებში, ცხოვრობს ბევრი ჩინელი — დაახლოებით 1,5 მილიონი კაცი. ისინი ვიეტნამის ტერიტორიაზე გადასახლდნენ უკანასკნელი ორი სა

საქართველოს ფეხ-ბურთში

პირველად...

რუსთავი. მეტალურგთა ქალაქში პირველად მოეწყო ხალეკლესო (ინკვნების ფესტივალი. რუსთველთა ჯარდა მასში მონაწილეობდნენ ზოგიერთი სხვა ქალაქის წარმომადგენლებიც. კონკურსში საპრიზო ადგილები დაიკავეს წყვილებმა: ა. ტყეშვილემ და ვ. ილაშვილმა (სოხუმი), მ. ჯორბენაშვილმა და გ. ორველაშვილმა (თბილისი), ლ. მამინოშვილმა და ე. ოსებაშვილმა (რუსთავი).

სიმღერისა და ლექსის დღესასწაული

მომღერლის უკვდავება

დიდი ზეიმით აღინიშნა სიღნაღში ტრადიციული დღესასწაული „ვანობა“.

სიღნაღის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა სიმღერის დღესასწაული, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პარკის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ბუჩკურმა.

ვანო სარაჯიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ვ. დავითაშვილმა. გამოვიდნენ საქართველოს ალკა სიღნაღის რაიკომის მდივანი გ. ნადაშვილი, ანაგის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი

ვანო სარაჯიშვილის სამშობლოში

□

საბჭოს დეპუტატი ნ. ნანობაშვილი, რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის“ პასუხისმგებელი მდივანი მ. ასანიშვილი, სიღნაღის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე ქ. რაიბული. ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ლექსის წაიკითხა პოეტმა თ. მორჩილაძემ. ზეიმის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა ბასკეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის წევრი პროფესორი შაბნერ კინგანა.

საკონცერტო ნაწილში მონაწილეობდნენ, როგორც მასპინძლები, ასევე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები ა. ხომერიკი, გ. წულუკიძე, ტ. ჭიტინაძე, ვოკალისტთა საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი გ. ქოქიაშვილი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი დ. გუმენნაია, ამავე კონსერვატორიის სტუდენტი ლ. კოვალენკო, ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი „საუნჯე“.

„ვანობა“ გვიანობამდე გაგრძელდა.

„კომუნისტის“ კორ.

ქართული სიტყვის დიდოსტატის, პოეტი - აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის დაბადების დღე ტრადიციულ, დღესასწაულად იქცა პატარძეულში. და განა მას მარტო თანასოფლელები ზეიმობენ! აქ თავს იყრიან მთელი საგარეჯოს რაიონის მშრომელები, მეზობელი რაიონებიდან, სოფლებიდან ჩამოსული სტუმრები. აგრეთვე გოგლას თაყვანისმცემლები — პოეტები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები თბილისიდან, მოსკოვიდან...

ასე იყო იმ დღესაც... დილადანვე სოფლის გზები და ოროლობები, „პატარძეულის მთაწმინდა“ ხალხით იყო მოფენილი. ირგვლივ ლხინი, სიმღერა, ცეკვა, პაექრობა მეფობდა.

გიორგი ლეონიძის გახსენება

□

ნაშუადღევს პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მედა მეზვრიშვილმა გიორგი ლეონიძის ოჯახის წევრები. სტუმრები სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნასთან მიიწვია.

გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს, ხალხის საყვარელი პოეტის გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ოთსებ ნონეშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, კარლო კალაძემ, რევაზ მარგიანმა, მედეა კახიძემ, რევაზ ინანიშვილმა, თეიმურაზ ჯინგულაშვილმა, მოსკოველმა პოეტმა ლუდილა მიგდალოვამ, გიორგი ერეკლეშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა, ტ. ლოვან ნარიმანიძემ და სხვებმა.

თანასოფლელთა სახელით პოეტის შემოქმედებაზე, სოფლისათვის მის ამაზე ისაუბრა პატარძეულიც გიორგი ლეონიძის სახელობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თამარ ხუროშვილმა. ამავე სკოლის უფროსკლასელებმა წარმოადგინეს მხატვრული მონტაჟი.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

ვლ. მჰედლიშვილი,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ტელევიზია

ერთიანი სისტემა

პირველი პროგრამით

09.00 — „ჩვენი ეკრანი“. საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 18.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 18.30 — განცხადებები, 18.35 — შვეიცარიული ინგლისური ენა, 19.05 — გადაცემა „კომუნისტი“, 19.25 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „პატარა მეთაური“ (ფერადი), 20.30 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 21.50 — „სოფლის სადღეისო საზრუნავი“, 22.00 — „ეკრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — დოკუმენტური ფილმები.

მეორე პროგრამით

18.00 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 19.35 — მხატვრული ფილმი „ივანე ვასილის ძე პროფესიას იცვლის“. (ფერადი), 21.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შუქი სახეზე“ (ფერადი).

ოდესი

7 ივნისი

პირველი პროგრამით

06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.20 — „ბანგარკიში, 06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ბანდები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — ამინდის ბიუროს ცნობა, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — გადაცემა სკოლებისათვის, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — მ. ბალაკირევი. სიმფონიური პოემა „თამარი“, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „კადრების აღზრდა“, 12.15 — ი. ბობოხიძე, სიმღერები, 12.30 — ქ. ბიზე ოპერა „კარმენი“. ნაწყვეტები, 12.55 — გადაცემათა პროგრამა, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ — „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.55 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“, გ. ლეონიძე — „ნატვრის ხე“, 14.20 — უკრავს ა. ნიკარაძე, 15.00 — „წითელი, ყვითელი, მწვანე“... (მოსკოვიდან), 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტი), 19.00 — „ი. ჭავჭავაძე და რუსული კულტურა“, 19.20 — სიმღერები ვ. ტროშინის შესრულებით, 20.30 — რადიოკონცერტი „თბილისი-ბაკო-ერევანი“ (ბაკოდან), 21.00 — „ძიღისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის ლენინური კომკავშირის სიიმღერეთ“. 21.30 — ა. ბალანჩივაძე საბალეტო მუსიკა, 21.50 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვიდან), 22.00 — ნ. ფუჩაძე. „მზე“. რადიოდადგმა, 22.50 — „ხვალ — რადიოთი“, 23.30 — ე. შევარდნაძის კონცერტი.

თელევიზორი

6 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **მთავარი მოტაცება;** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **თავისუფალი თამა;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ჯაბაში მიდის დედისართა;** მეტეხის თეატრი — **განკითხვის დღე.**

მოძალაძეთა და სკოლამდელ გავშვთა დაწესებულებების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

„ტრანსსაბენტო“ საზაფხულო ავარაკზე გადაგზიდავთ ინვენტარსა და სხვა ნივთებს.

არ დაგვიწყოთ დროულად შეუკვეთოთ მანქანა!

ჩაინიშნეთ „ტრანსსაგენტოს“ პუნქტების მისამართები:

თბილისში — სანაპიროს, 8; ტელ. — 99-53-18; ალუხანოვის გამზ., 173, ტელ. 95-19-31;

ქუთაისში — გორის ქ., 132, ტელ. 6-59-35;

სოხუმში — ორახელაშვილის, 29, ტელ. — 2-40-33, 2-50-87;

ბათუმში — გოგებაშვილის, 3, ტელ. — 3-64-90.

ჩვენი დევიზია — მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ მოსახლეობას!

„ტრანსსაბენტო“.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს ცივილიზაციის ხენს უწოდებენ. ცნობილი საბჭოთა ქირურგის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ევგენი ნიკოლოზის ძე მეშალკინის აზრით, დაახლოებით ყოველი მეხუ კაცი მეტ-ნაკლებად ამ სენით არის დაავადებული. მეცნიერები მუშაობენ ხელოვნური გულის შექმნაზე. აკეთებენ მისი გადანერგვის ოპერაციებს. ჯერჯერობით ნაკლებად დამაჯერებელი შედეგებია მიღწეული... ამიტომ, ფიქრობს ქირურგი, კარდიოლოგ ექიმთა ამოცანაა ავადმყოფთა ხსნისათვის გამოიყენონ ის შესაძლებლობანი, რომლებსაც უკვე მიაკვლია მეცნიერებამ. ნოვოსიბირსკის აკადემქალაქის ხასხლის მიმოქცევის პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში (ხელმძღვანელი — ე. ნ. მეშალკინი). წარმოებულ ოპერაციებზე გვიამბობს ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტი ოლეგ სპირინი.

...პროფესორის კაბინეტში ვართ. იგი უფრო მუზეუმსა ჰგავს, ვიდრე სამუშაო ოთახს. მე დავიხახე ეროვნული მონოლოური ტანსაცმელი, სხვადასხვაგვარი სუვენირები. ყველაფერი ეს, გვითხრა მეშალკინმა, ითათმენ ქეს, ვინც ვიხსენი მძიმე სენისაგან. კაბინეტის კედლების გასწვრივ დიდი სტელაჟებია, რომლებზეც ალაგია საქიდალდეები — ავადმყოფობის ისტორიები. პროფესორს თავისი სიცოცხლის მანძილზე არცთუ ცოტა ოპერაცია გაუკეთებია, მათ შორის ბევრი უნიკალურიც, მაგრამ ყველაზე მეტად მაინტერესებდა სწორედ ოპერაციები ჰიპოთერმიის (ორგანიზმის გაცივების) გამოყენებით.

პატიცემულო ევგენი, მიგაჩნიათ თუ არა, რომ გულის ნებისმიერი ოპერაციის გაკეთება შეიძლება ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის გამოუყენებლად?

— საქმე ის არის, რომ ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატი იუცილებელია რთული ოპერაციის დროს, როცა მისი წარმოებისათვის რამდენიმე საათია საჭირო. აქ უმაპარატოდ ვერაფერს გახდები. მაგრამ არის ისეთი ოპერაციებიც, რომელთა დროს შეიძლება არ გამოიყენო ეს აპარატი.

წარმოიდგინეთ, რომ რომელიღაც პატარა ქალაქის კლინიკაში არ არის ხელოვნური სისხლის მიმოქცევის ეს რთული აპარატი, გულის ოპერაციის გაკეთება კი დაუყოვნებლივ საჭიროა. ავადმყოფის გადასაყვანად დრო არ არის. რა უნდა ვქნათ? ის სწორედ ამ დროს ექიმებს დაეხმარება ჩვენს ინსტიტუტში შემუშავებული მეთოდი.

რა არის ამ მეთოდის არსი? განგვიმარტეთ ეს მეთოდი უფრო დაწვრილებით.

— **არსი ასეთია:** ავადმყოფს განსაკუთრებული სახეობის ნარკოზს უკეთებენ — იგი არცთუ ისე ღრმა ჰიპოთერმიის მდგომარეობაშია, ესე იგი მისი სხეულის ტემპერატურა ნორმასთან შედარებით შვიდი-რვა გრადუსით არის შემცირებული. და რაც ყველაზე საინტერესოა, ადამიანის ტვინს ამ მდგომარეობაში შეუძლია სიცოცხლე 15-20 წუთის განმავლობაში, თუმცა სისხლს ტვინი არ იღებს. 15-20 წუთში ქირურგი ასწრებს მარტივი ოპერაციის გაკეთებას, მაგალითად, გულში ჩაკერავ ხელოვნურ სარქველს. მაგრამ ეს ზღვარი არ არის, — განაგრძობს მეშალკინი — ახლახან ოპერაცია ვაკეთებთ ავადმყოფს, და მისი გული 24 წუთს იყო გაჩერებული. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, რაც ამ მეთოდის დიდ შესაძლებლობებს მოწმობს.

რა არის თქვენი მეთოდის მთავარი ღირსებანი?

— ჯერ ერთი, მისი წყალობით ავადმყოფის სისხლი არ განიცდის დეფორმაციას ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატში. თანაც ჰიპოთერმიის დროს პრაქტიკულად საჭირო არ არის დონორის სისხლი, მაშასადამე, ორმაგ ოპერაციას ერთ-ერთი ადამიანი ორ ადამიანს ერჩვენ. ეს ფასეულია ამ ადამიანთა ერისთვის, ეს ფასეულია ეროვნულ ეკონომიკისთვის. ეს ფასეულია ადამიანთა ბედნიერებისთვის.

ეს ფასეულია ადამიანთა ბედნიერებისთვის. ეს ფასეულია ეროვნულ ეკონომიკისთვის. ეს ფასეულია ადამიანთა ბედნიერებ